საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №115
2016 წლის 23 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის №804 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 ოქტომბრის №804 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 23.10.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016488) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული №16, №39 და №41 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **გიორგი მღებრიშვილი**

დანართი

დანართი №16

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი (საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი	2355
სამმართველოს უფროსი, სამხარეო სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე	2000
განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსი-გამომძიებელი	1500
დეტექტივი-გამომძიებელი	1400
განყოფილების უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსის მოადგილე-გამომძიებელი	1380

დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1325
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1040
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	965
სპეციალისტი	790

დანართი №39

ტერიტორიული ორგანოები (ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციის (სამმართველოს) უფროსის, საერთო განყოფილების, კანცელარიის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილებისა და კინოლოგიის ჯგუფის გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2495
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2070
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსი	1875
სამმართველოს უფროსი	1675
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსის მოადგილე	1250
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1250
განყოფილების უფროსი (დეტექტივ-გამომძიებელი)	1240
განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივ-გამომძიებელი)	1230
დეტექტივ-გამომძიებელი	1220
განყოფილების უფროსი-გამომძიებელი	1200
განყოფილების უფროსის მოადგილე-გამომძიებელი	1150
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1115
უბნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი	1025
მთავარი სპეციალისტი (დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე)	855
უბნის ინსპექტორი-გამომძიებელი	950
უბნის უმცროსი ინსპექტორი	785

დანართი №41

ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი (ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) (ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების გარდა), ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოსა

და რაიონული სამმართველოების საერთო განყოფილებებისა და საქმისწარმოების უზრუნველყოფის ჯგუფების (კანცელარია) გარდა)

თანამდებობა	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი (რაიონული), სამმართველოს უფროსი	2185
სამმართველოს უფროსის მოადგილე (რაიონული), სამმართველოს უფროსის მოადგილე	1725
განყოფილების უფროსი (დეტექტივ-გამომძიებელი), განყოფილების უფროსი-გამომძიებელი, განყოფილების უფროსი	1665
განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივ-გამომძიებელი)	1455
დეტექტივ-გამომძიებელი	1400
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	1305
უბნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი	1280
უბნის ინსპექტორი-გამომძიებელი	1215
უფროსი ინსპექტორი	1130
უბნის უმცროსი ინსპექტორი	945